

თავი II

2017 წლის იანვარ-მარტის მაკროეკონომიკური მიმოხილვა

ეკონომიკური ზრდა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2017 წლის მარტში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 5.3 პროცენტი, ხოლო I კვარტალის საშუალო რეალურმა ზრდამ 5.0 პროცენტი შეადგინა. რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი იანვარში 5.2 პროცენტი, ხოლო თებერვალში 4.4 პროცენტი დაფიქსირდა.

ფასები

2017 წლის მარტში წლიურმა ინფლაციამ 5.4 პროცენტი შეადგინა.

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე: ტრანსპორტის ჯგუფში ფასები გაიზარდა 18.7 პროცენტით, ჯგუფის წვლილმა ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში 2.26 პროცენტული პუნქტი შეადგინა, სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფზე ფასების 5.4 პროცენტისანი მატება დაფიქსირდა, რაც 1.62 პროცენტული პუნქტით აისახა წლიური ინფლაციის მაჩვენებელში. ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ფასები გაიზარდა 16.0 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 1.03 პროცენტული პუნქტით აისახა.

გაცვლითი კურსი

2017 წლის იანვარ-მარტში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ რყევებით ხასიათდებოდა, ხოლო მარტის თვეში გამყარების ტენდენცია დაფიქსირდა. 2017 წლის მარტში 2016 წლის დეკემბერთან შედარებით ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 7.6 პროცენტით გამყარდა და 2.44 ლარი შეადგინა ერთ აშშ დოლარზე. ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი, რაც წარმოადგენს ლარის საშუალო კურსს სავაჭრო პარტნიორების გაცვლით კურსებთან, გამყარდა 6.7 პროცენტით.

მონეტარული აგრეგატები

2017 წლის მარტში 2016 წლის მარტთან შედარებით M3 ფართო ფულის აგრეგატი 17.0 პროცენტით გაიზარდა და 15 132.8 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო M2 ფულის მასა 16.8 პროცენტით გაიზარდა და 6 400.1 მლნ ლარის დონეზე დაფიქსირდა.

2017 წლის მარტში მთლიანი დეპოზიტები 16.1 პროცენტით გაიზარდა, მათ შორის დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში 14.1 პროცენტით, ხოლო დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში 17.1 პროცენტით გაიზარდა.

2017 წლის მარტში, წინა წლის დეკემბერთან შედარებით დოლარიზაციის კოეფიციენტი 2.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 67.7 პროცენტს გაუტოლდა. ამავე პერიოდში 1.0 პროცენტული პუნქტით შემცირდა სესხების დოლარიზაციის კოეფიციენტი და 63.6 პროცენტი შეადგინა.

საგარეო სექტორი

2017 წლის იანვარ-მარტში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2 285.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 18 პროცენტით მეტია; აქედან ექსპორტი 577.0 მლნ აშშ დოლარს შეადგენს (30 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 1 708.0 მლნ აშშ დოლარს (15 პროცენტით მეტი). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2017 წლის იანვარ-მარტში 1 132.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველი ადგილი თურქეთს უკავია, რომლის წილი 2017 წლის იანვარ-მარტის მთლიანი საქონელბრუნვის 14.5 პროცენტს შეადგენს. მას მოსდევს რუსეთი 11.2 და აზერბაიჯანი 9.1 პროცენტული წილებით.

ექსპორტში 15.6 პროცენტით პირველ ადგილზე რუსეთია, შემდეგ მოდიან თურქეთი 9.5 პროცენტით, ჩინეთი 8.6 პროცენტით, ბულგარეთი 6.8 პროცენტით და აზერბაიჯანი 5.4 პროცენტით.

იმპორტში პირველი ადგილი თურქეთს უჭირავს 16.2 პროცენტით, შემდეგ მოდიან აზერბაიჯანი 10.3 პროცენტით, რუსეთი 9.7 პროცენტით, ჩინეთი 7.4 პროცენტით და ა.შ.

სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტში პირველ ადგილზეა სპილენძის მადნები და კონცენტრატები 17.1 პროცენტით, მომდევნო ადგილებს იკავებენ: ფეროშენადნობები 14.0 პროცენტი, მსუბუქი ავტომობილები 6.1 პროცენტი, ყურძნის ნატურალური ღვინოები 5.4 პროცენტი და სამკურნალო საშუალებები 5.3 პროცენტი.

იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში პირველ ადგილზე ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადებია, რომელსაც მთლიან იმპორტში 8.1 პროცენტის წილი უკავია. შემდეგ მოდიან: ნავთობი და ნავთობპროდუქტები 7.1 პროცენტი, მსუბუქი ავტომობილები 6.2 პროცენტი და სამკურნალო საშუალებები 5.4 პროცენტი.

2017 წლის იანვარ-მარტში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 641.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 26 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 159.0 მლნ აშშ დოლარი იყო (44 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 481.0 მლნ აშშ დოლარი (21 პროცენტით მეტი).

დსთ-ის ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 751.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (2016 წლის იანვარ-მარტთან შედარებით 35 პროცენტით მეტი). აქედან ექსპორტი 205.0 მლნ აშშ დოლარი (59 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 546.0 მლნ აშშ დოლარი იყო (27 პროცენტით მეტი).

ფულადი გზავნილები

2017 წლის პირველ კვარტალში წმინდა ფულადი გზავნილები წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 27.1 პროცენტით გაიზარდა. წმინდა ფულადი გზავნილები გაზრდილია რუსეთიდან 41.4 პროცენტით, ისრაელიდან - 92.4 პროცენტით, აშშ-დან - 20.0 პროცენტით, თურქეთიდან - 32.6 პროცენტით და საბერძნეთიდან - 17.5 პროცენტით.

ინფორმაცია საქართველოს 2017 წლის იანვარ-მარტის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების შესახებ

2017 წლის იანვარ-მარტის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 417 950.6 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 2 623 793.7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 108.5%.

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 213 000.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 2 376 419.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 107.4%.

გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 66 562.6 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 87 940.1 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 132.1%.

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 138 388.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 159 434.6 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 115.2%.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 58 286.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (28 500.0 ათასი ლარი) 204.5%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 14 372.8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (12 000.0 ათასი ლარი) 119.8%-ია.

**2017 წლის იანვარ-მარტის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების
შესრულების მაჩვენებლები**

დასახელება	გეგმა	ფაქტი	ათასი ლარი	
			+/-	%
შემოსავლები	2,417,950.6	2,623,793.7	205,843.1	108.5
გადასახადები	2,213,000.0	2,376,419.0	163,419.0	107.4
საშემოსავლო გადასახადი	752,000.0	741,264.4	-10,735.6	98.6
მოგების გადასახადი	206,000.0	259,184.8	53,184.8	125.8
დამატებული ღირებულების გადასახადი	798,000.0	960,794.3	162,794.3	120.4
აქციზი	342,000.0	331,105.8	-10,894.2	96.8
იმპორტის გადასახადი	19,000.0	18,265.8	-734.2	96.1
ქონების გადასახადი	14,000.0	4,094.4	-9,905.6	29.2
სხვა გადასახადი	82,000.0	61,709.5	-20,290.5	75.3
გრანტები	66,562.6	87,940.1	21,377.5	132.1
სხვა შემოსავლები	138,388.0	159,434.6	21,046.6	115.2

**ინფორმაცია საქართველოს 2017 წლის იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის
შემოსავლების შესრულების შესახებ**

2017 წლის იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 233 537.6 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 2 426 727.8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 108.6%.

**2017 წლის იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების
შესრულების მაჩვენებლები**

დასახელება	გეგმა	ფაქტი	ათასი ლარი	
			+/-	%
შემოსავლები	2,233,537.6	2,426,727.8	193,190.2	108.6
გადასახადები	2,097,000.0	2,274,272.0	177,272.0	108.5
გრანტები	66,562.6	87,912.7	21,350.1	132.1
სხვა შემოსავლები	69,975.0	64,543.1	-5,431.9	92.2

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 097 000.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 2 274 272.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 108.5%.

სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

- საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 643 211.8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (650 000.0 ათასი ლარი) 99.0%-ია.
- მოგების გადასახადის სახით მობილიზებულია 259 184.8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (206 000.0 ათასი ლარი) 125.8%-ია.

- დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 960 794.3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (798 000.0 ათასი ლარი) 120.4%-ია.
- აქციზის სახით მობილიზებულია 331 105.8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (342 000.0 ათასი ლარი) 96.8%-ია.
- იმპორტის გადასახადის სახით მობილიზებულია 18 265.8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (19 000.0 ათასი ლარი) 96.1%-ია.
- სხვა გადასახადის სახით მობილიზებულია 61 709.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (82 000.0 ათასი ლარი) 75.3%-ია.

2017 წლის იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

დასახელება	გეგმა	ფაქტი	ათასი ლარი	
			+/-	%
გადასახადები	2,097,000.0	2,274,272.0	177,272.0	108.5
საშემოსავლო გადასახადი	650,000.0	643,211.8	-6,788.2	99.0
მოგების გადასახადი	206,000.0	259,184.8	53,184.8	125.8
დამატებული ღირებულების გადასახადი	798,000.0	960,794.3	162,794.3	120.4
აქციზი	342,000.0	331,105.8	-10,894.2	96.8
იმპორტის გადასახადი	19,000.0	18,265.8	-734.2	96.1
სხვა გადასახადი	82,000.0	61,709.5	-20,290.5	75.3

გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 66 562.6 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 87 912.7 ათასი ლარი (მათ შორის, „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის შესაბამისად საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართული სახსრები - 13 420.9 ათასი ლარი) ანგარიშზე განთავსებული თავისუფალი ნაშთის ნაწილი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 132.1%.

დასახელება	საანგარიშო პერიოდის ფაქტი
გრანტები	87,912.7
ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტები	33,063.6
საინვესტიციო გრანტები	26,260.0
SDC	76.7
GEF	509.6
EU	2,025.9
EBRD	4,036.7
SIDA	602.4
CNF	792.4
IFAD	38.4
KfW	3,459.5
MCC	14,718.5
ხაზინის ანგარიშზე რიცხული რეესტრის გრანტები	15,168.3
მიმდინარე გრანტები ცენტრალური სსიპ(ებ)-დან/ა(ა)იპ(ებ)-დან	13,420.9

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 69 975.0 ათასი ლარის ოდენობით, მობილიზებულ იქნა 64 543.1 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 92.2%.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

- **საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების** სახით მობილიზებულია 15 269.4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (12 100.0 ათასი ლარი) 126.2%-ია. აქედან,
 - **პროცენტები** - 11 953.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (11 500.0 ათასი ლარი) 103.9%-ს შეადგენს.
 - **დივიდენდების** სახით მობილიზებულია 38.5 ათასი ლარი.
 - **რენტის** სახით მობილიზებულია 3 278.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (600.0 ათასი ლარი) 546.3%-ია.
- **საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან** მობილიზებულია 17 995.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (19 375.0 ათასი ლარი) 92.9%-ია. აქედან,
 - **ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით** - 17 293.2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (18 565.0 ათასი ლარი) 93.1%-ია. მათ შორის:
 - სალიცენზიო მოსაკრებელი - 117.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (90.0 ათასი ლარი) 130.7%-ია;
 - სანებართვო მოსაკრებელი - 11 829.9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (13 400.0 ათასი ლარი) 88.3%-ია.
 - სარეგისტრაციო მოსაკრებელი - 448.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (400.0 ათასი ლარი) 112.0%-ია;
 - სახელმწიფო ბაჟი - 4 169.2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4 180.0 ათასი ლარი) 99.7%-ია;
 - საკონსულო მოსაკრებელი - 354.4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (290.0 ათასი ლარი) 122.2%-ია;
 - სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი - 279.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (120.0 ათასი ლარი) 232.5%-ია.
 - სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებლების სახით მობილიზებულია 94.9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (85.0 ათასი ლარი) 111.7%-ია.
 - **არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან** - 702,2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (810.0 ათასი ლარი) 86.7%-ია. მათ შორის:
 - საქონლის რეალიზაციიდან - 16.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (10.0 ათასი ლარი) 160.9%-ია;
 - მომსახურების გაწევიდან - 686.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (800.0 ათასი ლარი) 85.8%-ია;
- **სანქციების (ჯარიმები და საურავები)** სახით მობილიზებულია 13 116.3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (13 500.0 ათასი ლარი) 97.2%-ია.
- **ნებაყოფლობითი ტრანსფერები გრანტების გარეშე** მობილიზებულია 700.4 ათასი ლარი.
- **შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების სახით** მობილიზებულია 17 461.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (25 000.0 ათასი ლარი) 69.8%-ია.

**2017 წლის იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის
სხვა შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები**

დასახელება	გეგმა	ფაქტი	ათასი ლარი	
			+/-	%
სხვა შემოსავლები	69,975.0	64,543.1	-5,431.9	92.2
შემოსავლები საკუთრებიდან	12,100.0	15,269.4	3,169.4	126.2
პროცენტები	11,500.0	11,953.0	453.0	103.9
დივიდენდები		38.5	38.5	

დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
რენტა	600.0	3,278.0	2,678.0	546.3
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	19,375.0	17,995.5	-1,379.5	92.9
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	18,565.0	17,293.2	-1,271.8	93.1
სალიცენზიო მოსაკრებლები	90.0	117.6	27.6	130.7
სანებართვო მოსაკრებლები	13,400.0	11,829.9	-1,570.1	88.3
სარეგისტრაციო მოსაკრებლები	400.0	448.1	48.1	112.0
სახელმწიფო ბაჟი	4,180.0	4,169.2	-10.8	99.7
საკონსულო მოსაკრებელი	290.0	354.4	64.4	122.2
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	120.0	279.05	159.0	232.5
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	85.0	94.9	9.9	111.7
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	810.0	702.2	-107.8	86.7
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	10.0	16.1	6.1	160.9
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	800.0	686.1	-113.9	85.8
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	13,500.0	13,116.3	-383.7	97.2
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა		700.4	700.4	
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	25,000.0	17,461.5	-7,538.5	69.8

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 36 631.3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (17 500.0 ათასი ლარი) 209.3%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 11 655.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (12 000.0 ათასი ლარი) 97.1%-ია.